Dachi De Graff
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
Student, St Dimitri Kipiani College

George XI of Kartli and His Military Mission in Afghanistan

(Abstract)

KEYWORDS: George XI, Kingdom of Kartli, Persia, Afghanistan, Mirwais Hotak, Safavid Dynasty, Sultan Husayn, Kandahar, Georgia

If you encounter a Gurji[1] on the bridge, it's better to jump off, as the Pashto proverb suggests. Like the legendary warriors of the past, modern Georgians should defend their country with the same bravery and wisdom, ensuring that Georgia's right to freedom and independence, as well as its significant contributions to the world, are never questioned.

Many foreigners still perceive this ancient country as being "in the middle of nowhere." This indifferent attitude, which Italian traveller and missionary Pietro della Valle (1586-1652) criticised in his letter to Pope Urban VIII (1568-1644) in the 17th century, has contributed to the gradual loss of Georgian territory, which has been preserved by the blood of brave ancestors, due to the 'creeping occupation' by the Russian Federation in the 21st century.

At NATO's request, and while Georgia is not yet a member, over 11,000 Georgian troops have participated in peacekeeping missions in Afghanistan over the past 17 years. These soldiers would defend their homeland's borders with even greater

[1] Gurji is the Persian designation of the Georgians.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

enthusiasm and pride if given the opportunity. However, they would receive lower pay compared to their income while serving on missions in Asian and African countries, and there would supposedly not be enough vacancies for Georgian border guards. According to the US plan to withdraw peacekeepers by September 2021, 860 Georgian troops left Afghanistan between May and July of that year. After the United States, the United Kingdom, Germany, and Italy, Georgia had the largest peacekeeping contingent in Afghanistan from 2001 to 2021.

History sometimes tragically repeats itself in the fate of a nation.

Born in 1651, George XI was the son of King Vakhtang V and Princess Rodam Kaplanishvili-Orbeliani. Misfortune guided the life of this Georgian Orthodox Christian ruler, who converted to both Islam and Catholicism at different times during his reign, in his quest for a political solution to protect his kingdom and people. At the age of 26, he ascended to the throne with the permission of the Shah of Persia. From that moment onward, he devoted his life to the struggle for Georgia's freedom and independence, deftly wielding both his sword and his words.

He was the first Georgian king to engage in diplomatic correspondence with Pope Innocent XI (1611-1689), set the pro-European political course for the Kingdom of Kartli. George XI maintained intensive contact with various popes, Catholic missionaries, and several European monarchs.

The King of Kartli aimed to strengthen royal power and abolish Iranian domination in his kingdom. To achieve these goals, he also sought the support of the Ottoman Empire. However, when he revolted against Persia in 1688, King George XI did not receive the promised assistance from the Ottomans. Additionally, his diplomatic negotiations with Pope Innocent XI

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

yielded little more than prayers and blessings. In the autumn of that year, France initiated the Nine Years' War (1688-1697) against Germany, drawing in most of the leading European countries. As a result, aiding the Georgian kingdom was not a priority for European nations. They would rather consider tighter trade agreements with Persia. In 1688, Shah Suleiman (1648-1694) deposed the retaliatory George XI and replaced him with a more compliant ruler, Heraclius I (1642-1709), as the king of Kartli.

Following Shah Suleiman's death, his son and successor, Shah Sultan Husayn (1668-1726), appointed George XI as the beglerbeg[2] of Kerman province. The Iranians urgently needed an experienced and brave leader to combat the plundering Baluchi tribe in the eastern provinces of Persia. The young Shah promised to restore Gorgin Khan[3] to the throne of Kartli if George XI succeeded in this mission.

In a remarkable display of bravery, 600 Qizilbash[4] soldiers and 40 Georgian warriors crossed a scorching desert to face 2,000 Baluchis. The outcome of the battle was impressive; only 500 Baluchis survived. This victory marked the first time the fierce Baluchi tribe, which had previously defeated the Qizilbash multiple times, was overcome.

In 1703, the Shah finally fulfilled his promise to George XI, though in an unusual Persian manner. He officially recognised George XI as the king of Kartli, but also appointed him the commander-in-chief of Iran and governor of Kandahar. His next task was to intimidate the Kandahar province.

---

[2] Beglerbeg was the governor of a province in the Safavid Empire, ranking immediately below the grand vizier.
[3] Gorgin (or, Gurgin) Khan, which means "George the Ruler," was the alias of George XI.
[4] Qizilbash (or, Kizilbash) was a member of the Turkmen tribes who supported the Safavid dynasty. In Turkish "Kızılbaş" means "red head," in reference to their crimson headwear.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

George XI never returned to his homeland. His nephew, the future Vakhtang VI of Kartli, was appointed as his deputy, while Heraclius I continued to govern the Kingdom of Kakheti. The nominal restoration of the throne of Kartli to George XI came at a price—his formal rejection of Christianity. After much hesitation, the Georgian king eventually agreed to acknowledge Islam, though only in the eyes of the Persians, while secretly wearing a cross around his neck.

George XI spent twelve years in a foreign land, where he battled the nomadic tribes of Afghanistan alongside his brother, Royal Prince Levan, and the Georgian regiment that accompanied them on this mission. Despite the intense heat, the Georgian forces maintained an impressive record, never losing a single battle—whether large or small—while serving Iran in Afghanistan. The Persians often fled the battlefield during encounters with local fighters, leaving the Georgians to face the enemy alone. In this harsh and unequal war, the Georgian warriors displayed remarkable bravery and skill.

During that period, the Iranian central government relied entirely on the Georgian military forces. Pietro della Valle noted this, stating, "The strength of the Persian army is the Georgians, who are the greatest and strongest part of this army". Sir Thomas Herbert (1606-1682), 1st Baronet of Tintern and York, an English traveller and historian, visited Shiraz in 1627. He noted that the number of Georgians in the Iranian army fluctuated significantly, ranging from 8,000 to 40,000 at various times.

In his book "History of Afghanistan" (1879), English author and Colonel George Bruce Malleson (1825-1898) provided a brief yet vivid description of the King of Kartli: "It happened that at this time the ablest general in the Persian service was a Georgian, named Gúrghín Khán. Born a Christian, this man had

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

endeavoured to establish independence in his native country, but his great military talents had been overborne by the numerical strength sent against him, and he had failed. So powerful was he, however, even in his defeat, that, on the sole condition of his embracing the Mahomedan religion, the Shah had taken him into his service. He had distinguished himself by two qualities – military skill and severity."

While at the Persian court, Jonas Hanway, an English merchant and traveller (1712-1786), wrote to representatives of the British East India Company in Bombay, saying, "The Georgian army is the only force that makes the Afghans tremble like poplars."

In May 1704, a 24,000-strong army, featuring Georgians and Persians, marched into Afghanistan under the command of King George XI. Facing extreme heat, the troops took nearly two months to traverse the desert and reach their destination. The climate in Kandahar proved as unbearable as that in Kerman. Despite these harsh conditions, the Georgian army successfully suppressed unrest in the province on multiple occasions, with the Commander-in-Chief maintaining strict control over the entire region.

To prevent future uprisings, King George XI dispatched Mirwais Hotak (1673-1715), a rebellious leader from an Afghan tribe, to Isfahan. He urged Shah Sultan Husayn to keep Mirwais in the Iranian capital, emphasising that he should never be allowed to return to Afghanistan.

Once in Isfahan, Mirwais quickly noticed that the Persian officials envied the Georgian king and therefore opposed him. Being one of the wealthiest subjects in the Safavid Empire, he used his wealth to bribe these officials and easily won their favour. As a result, the pleased Persian officials actively assisted

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

Mirwais in securing four private audiences with Shah Sultan Husayn.

Skilled in politics and persuasion, Mirwais engaged in information warfare against the Georgian commander. He seized every opportunity to tarnish Gorgin Khan's reputation, gradually sowing seeds of doubt in the mind of the politically inexperienced Shah. Mirwais manipulated the Shah's fears, suggesting that King George XI remained loyal to his homeland and could potentially rebel, posing a threat to Persia. Based on these concerns, the Shah decided to send Mirwais back to Kandahar, instructing him to keep a close watch on the Georgian king.

On 21 April 1709, as recorded by Jonas Hanway, Mirwais hosted a party in honour of King George XI. After the guests had retired for the night, Afghan forces launched a surprise attack on the sleeping Georgian king and his men, killing them all on Maundy Thursday. To justify the massacre to the Shah, Mirwais presented evidence of George's perceived betrayal: a cross found around his neck and a gospel discovered beneath his pillow. This event marked the end of a battle-filled life for the 58-year-old George XI.

Just a few miles from the city of Kandahar, a monumental marble column stands adorned with an inscription in Pashto that reads: "Traveller, pause for a moment and learn this – many have attempted to conquer Afghanistan, yet to this day, none have succeeded. Praise and thanks to Allah! Only three commanders have ever defeated the valiant Afghan army: Alexander the Great, Genghis Khan, and Gurji George." Near the column lie symbolic graves dedicated to these three warriors.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დაჩი დე გრაფი
https://orcid.org/0000-0001-5838-9440
სტუდენტი, წმ. დიმიტრი ყიფიანის სახ. კოლეჯი

ქართლის მეფე გიორგი XI-ის სამხედრო მისია ავღანეთში

საკვანძო სიტყვები: გიორგი XI, ქართლის სამეფო, სპარსეთი, ავღანეთი, მირ-ვეისი, სეფიანთა დინასტია, შაჰ-ჰუსეინი, ყანდაარი, საქართველო

1. საქართველო გუშინწინ, დღეს და ზეგ

თუ ხიდზე პირისპირ შეეჩეხები გურჯს, გირჩევნია ხიდიდან გადახტეო, გვარიგებს პუშტუნური[30] ანდაზა. სწორედ ლეგენდარული მეომარი გურჯებივით უნდა დავიცვათ საქართველო და ქართველები საქმითა თუ სიტყვით, რომ ეჭვქვეშ ვეღარ დააყენონ საქართველოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა და მსოფლიოს წინაშე ამ პატარა ქვეყნის დიდი დამსახურება. განსაკუთრებით, სწორედ სიტყვით ანუ ისტორიული დოკუმენტებისა და უცხოური წყაროების დამოწმებით ჩვენი ქვეყნის ამბის მსოფლიოსთვის ხელახლა გაცნობა გვჭირდება, რადგან უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში მუდმივად ვაგებდით საინფორმაციო ომებს.

ჯერაც არასაკმარისად გვიცნობს სამყარო. პირველ ყოვლისა, ჩვენს სახელმწიფოს საერთაშორისო დონეზე აღიარება სჭირდება, რადგან უცხოელების უმეტესობას "in the middle of nowhere"-ში[50] ჰგონია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა მაშინაც კი, როცა რუკაზე მისი პოვნა ეიოლება. მათი ინდიფერენტული დამოკიდებულების შედეგად, რისთვისაც იტალიელი მოგზაური და მისიონერი, პიეტრო დელა ვალე (1586-1652) ჯერ კიდევ XVII საუკუნე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ში კიცხავდა დასავლეთევროპელ ხელისუფალთ პაპ ურ-ბან VIII-ისთვის (1568-1644) გაგზავნილ ბარათში,[21] წინაპ-რების სისხლით შემონახული ქართული მიწა მტკაველო-ბით გვეკარგება, არაერთი მოქალაქე გვეღუპება. მოსახ-ლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული: ზოგი დროებით, ზოგიც – სამუდამოდ. ასეთი მწარე რეალობისთვის თვალის გასწორების შემ-დეგ ლოგიკური გახდება მეორე ეტაპზე გადასვლაც – მსოფლიოსთვის საქართველოს გაცნობა, ცხადია, ქვეყნი-სა და ერისთვის სასარგებლო კუთხით. ჩვენი პრობლემე-ბი საშინაო პოლიტიკის არეალში უნდა განიხილებოდეს, მათ გადაჭრაზე ორიენტირებით; საერთაშორისო ურთიერ-თობებისთვის კი „საგარეო ვერსია“ გვჭირდება, სამოსე-ლივით.

იმ ნატოს დავალებით, რომლის წევრობა ჯერაც არ გვეღირსა, 11 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრომ მიი-ღო მონაწილეობა ავღანეთის სამშვიდობო მისიებში ბო-ლო 17 წლის განმავლობაში.[57] ისინი გაცილებით დიდი ენთუზიაზმითა და სიამაყით დაიცავდნენ საკუთარი სამ-შობლოს საზღვრებს, მაგრამ ამისათვის არც იმდენს გა-დაუხდიან, როგორც აზიურ-აფრიკულ მისიებში და, სავა-რაუდოდ, არც ქართველი მესაზღვრის ვაკანსიებია საკმა-რისი რაოდენობით. 2021 წლის 11 სექტემბრისთვის სამ-შვიდობოების გამოყვანის ამერიკული გეგმის[62] შესაბამი-სად, მაის-ივლისში 860 ქართველმა სამხედრომ დატოვა ავღანეთის მიწა.[46] აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოს, გერ-მანიისა და იტალიის შემდეგ, საქართველოს ჰყავდა ყვე-ლაზე მრავალრიცხოვანი სამშვიდობო შემადგენლობა 2001-2021 წლების ავღანეთის ომში. ევროკავშირის ქვეყ-ნებმა ჩვენზე გაცილებით მცირე რაოდენობის ჯარისკაცი გაგზავნეს დედამიწის ამ ყველაზე ცხელ წერტილში.[60]

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ძნელი სათქმელია, საბოლოოდ როგორ დასრულდება ავღანური ეპოპეა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში სამშვიდობო მოლაპარაკებები მრავალჯერ ჩაიშალა ან სასურველი შედეგი არ მოჰყვა. ამიტომაც, შედარებით სკეპტიკურადაა განწყობილი თურქული საინფორმაციო სააგენტო „ანადოლუს“ ჟურნალისტი მერვე სერენი.[59] წელიწადზე მეტია, რაც თალიბებს სამშვიდობო მოლაპარაკებების სრულყოფისკენ მოუწოდებენ თურქეთი, პაკისტანი, ავღანეთი[61] და თეთრი სახლის ძველი თუ ახალი ადმინისტრაცია.

თალიბებისთვის უჩვეულოდ უსისხლო ხელისუფლებაში მოსვლას[44] ქაბულის აეროპორტში „სხვების“ მიერ მოწყობილი ტერაქტი[51] მოჰყვა. დანარჩენ უკანონობებსაც ადგილობრივი ბანდფორმირებები ჩადიან, ახალი ხელისუფლების მტკიცებით.[58] ასეთი სიტუაცია ხანგრძლივად თუ გაგრძელდა, „დროზე ადრე გამოყვანილი“[45] სამშვიდობოები მთელი მსოფლიოდან, შესაძლოა, ისევ უკან გასაგზავნი გაუხდეთ.[42] ეს, ალბათ, არ იქნება უკანასკნელი ავღანური მისია.

არც სპარსეთის დავალებით ქართლის მეფე გიორგი XI-ის ბრძოლა იყო პირველი მცდელობა აჯანყებული ავღანელების დასამორჩილებლად. სახელგანთქმული მეფესარდალი ირანის შაჰის წინაშე იხდიდა საომარ ვალდებულებას ავღანელების წინააღმდეგ 12-წლიან ბრძოლაში. როგორც ავღანურ მისიაში მონაწილე თანამედროვე ქართველი სამხედროები სამშობლოსთვის სწირავდნენ თავს უცხო ქვეყნის მიწაზე მშვიდობის დამყარების სახელით წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებს, მეფე გიორგი XI-ც საქართველოს სპარსეთისგან დაცვის მიზნით ეომებოდა საკუთარი მტრის მტერს. თადეუშ კრუშინსკის[16] ცნობით, სიმამაცითა და საბრძოლო ხელოვნებით განთქმულ გურჯებს მტერი უდიდეს პატივს სცემდა.

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

2. გიორგი ბაგრატიონი

ვახტანგ V-ისა[15] და როდამ ყაფლანიშვილ-ორბელიანის ძე, მომავალი გიორგი XI 1651 წელს დაიბადა. „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა მშვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“.[2] ბედმა თუ უბედობამ წილად არგუნა მართლმადიდებელ ქრისტიან ხელმწიფეს მაჰმადიანობაც მოერგო და კათოლიკობაც. 26 წლის ასაკში წინაპართა ტახტზე ირანის შაჰის ნებართვით ასული, მთელი ცხოვრება საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა ხმლითა და სიტყვით. სპარსეთის მბრძანებელს არ მოსწონდა მეფე გიორგი XI-ის თავნებობა: „გურჯი ხანი, მეგონა, გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქაღარი (ურჯულო ქრისტიანი) დარჩენილაო“.[2]

რომის პაპ ინოკენტ XI-სთან (1611-1689) ამ ბაგრატოვანის ეპისტოლარულმა დიპლომატიამ სათავე დაუდო ქართლის სამეფო კარის პროევროპულ პოლიტიკურ ტენდენციას. გიორგი XI-ს აქტიური მიმოწერა და ურთიერთობა ჰქონდა როგორც პაპებთან და კათოლიკე მისიონერებთან, ასევე, ევროპელ მონარქებთან. მეფის პროდასავლურ კურსს აქტიურად ემხრობოდნენ მისი ძმა – ლევან ბატონიშვილი[11] (გ. 1709) და მისი ბიძაშვილი – სულხან-საბა ორბელიანი[34] (1658-1725). გვირგვინოსანი ბიძის პროევროპულ სულისკვეთებას მხარს უჭერდნენ ლევანის შვილები – ქართლის მეფე ქაიხოსრო[29] (1674-1711) და ვახტანგ VI[19] (1675-1737). წინაპრების პოლიტიკური გზის გამგრძელებელი იყო ლევანის შვილიშვილი, ვახტანგ VI-ის ძმისშვილი, მეფე იესეს ძე – აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I[27] (1720-1788).

გიორგი XI ცდილობდა, სამეფო ხელისუფლება განემტკიცებინა და ქართლში ირანელთა ბატონობა მოესპო. მიზნის მისაღწევად, მან თანადგომა სთხოვა ოსმალეთის

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

იმპერიას, მაგრამ 1688 წელს ირანის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის მეფემ ოსმალეთისგან დაპირებული დახმარება ვერ მიიღო. ამავე დროს, მას ქართველმა ფეოდალებმა (მათ შორის, დედის ძმამ – თამაზ ყაფლანიშვილმა და სიძემ – დათუნა ქსნის ერისთავმა)[24] უღალატეს და გიორგის მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა. არც რომის პაპ ინოკენტ XI-ესთან გამართულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს მოჰყოლია ქმედითი თანადგომა, რადგან საფრანგეთმა სწორედ 1688 წლის შემოდგომაზე დაიწყო ცხრაწლიანი ომი[43] გერმანიის წინააღმდეგ, რომელშიც ევროპის წამყვანი ქვეყნები აღმოჩნდნენ ჩართულნი. ბუნებრივია, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს არ ეცალათ საქართველოს დასახმარებლად.

1688 წელს შაჰ-სულეიმანმა (1648-1694) ურჩი გიორგი XI ქართლის ტახტიდან გადააყენა და მის ნაცვლად ერეკლე I[12] გაამეფა. ნაზარ-ალი-ხანს მამის სამკვიდრო არ დაუთმო შაჰ-ნავაზ I-ის ძემ და 1691 წელს ოთხწლიანი ძმათაშორისი ომი გაჩაღდა,[18] რომელიც ბოლოს გიორგიმ დათმო, როდესაც ირანის მბრძანებელმა განჯის ჯარი გაუგზავნა ერეკლე I-ს დასახმარებლად.

1694 წლის 6 აგვისტოს სეფიანთა დინასტიის მეცხრე წარმომადგენელი, ჰუსეინ-მირზა ავიდა ირანის ტახტზე. განმარტოვებისა და ლოცვების მოყვარული 26 წლის შაჰ-სულთან ჰუსეინი (1668-1726) „მშვიდობას უფრო ეტრფოდა, ვიდრე ომსა და სისხლისღვრას“.[24] რბილ მმართველთან პოლიტიკური ურთიერთობის მორეგულირების მიზნით, 1696 წელს გიორგი XI ისპაანს გაემგზავრა.

სეფიანთა სამეფო კარზე ბაგრატოვანი 1697 წლის 5 მარტს ჩავიდა. მას საზეიმო დახვედრა მოუწყვეს და ძვირფასი ძღვენიც უბოძეს. ასე აღწერს სეხნია ჩხეიძე ქართლისა და სპარსეთის პირველ პირთა შორის დიპლომატიური თანხმობის აღდგენის ამბავს: „დღესა მეოთხესა

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნახა ყაენმან. დახვდა ტკბილად და საყვარლად, ვითარცა მამასა, და დასდო პატივი მისად შესაფერად, მოეწონა სიკეთე მეფის გიორგისა“.[39] თუმცა, შაჰმა ქართლის ტახტი არ დაუბრუნა მეფე გიორგის არც 1697 წელს (როგორც ქართველი ხელმწიფის მკურნალი, იეზუიტი მისიონერი რიკარი აღნიშნავს 7 აგვისტოთი დათარიღებულ თავის წერილში) და არც 1698 წელს (რასაც იტალიელი მისიონერი ამადეო ბრეშელი ატყობინებს რომს).[24]

შაჰ-ჰუსეინმა გიორგი XI ქირმანის ბეგლარბეგად[5] დანიშნა, რადგან ძალიან სჭირდებოდა მასავით გამოცდილი და მამაცი სარდალი ირანის აღმოსავლეთ პროვინციებში ბელუჯთა[6] ტომის თარეშის აღსაკვეთად. წარმატების შემთხვევაში, შაჰი ქართლის ტახტის დაბრუნებას დაჰპირდა. თავიდან „არად ინება მეფემ გიორგიმ ქირმანი, რომ საქართველოს პატრონი იყო და ქირმანი იუკადრისა. მოახსენა უარი, მაგრამ არ მოეშვა ხელმწიფე“.[39] ქართველმა დიდებულებმა ბოლოს მაინც დაითანხმეს გიორგი XI, ქირმანის გავლით ეცადა ქართლის ტახტამდე მისვლა.

600 ყიზილბაშმა და 40 ქართველმა მზის მცხუნვარებით გადამწვარი უდაბნო გაიარა, 2 ათასამდე ბელუჯს რომ შერკინებოდა. სპარსელებთან წინა გამარჯვებებით გათამამებული მტერი დამცინავ და მუქარით სავსე რეპლიკებს ესროდა მათთან ახლოს დაბანაკებულ დამსჯელ რაზმს, რომელსაც ლევან ბატონიშვილი მეთაურობდა. პასუხად გაისმა: „მოვიდა რისხვა ღვთისა თქვენზედა, მობრძანდა საქართველოს ვალი[14] ლევან, ახლავს ქართველნი ჯარნი კაცის მჭამელნი“.[24] უდაბნოს ხვატით გატანჯული და უწყლოობით დასუსტებული ერთიმუჭა ქართველები ისეთ დღეში იყვნენ, სეხნია ჩხეიძე ხუმრობდა, ხმლის მოქნევა კი არა, „თითოს ქათმის შეჭმაც არ შეგვეძლო“.[39] თუმცა, იმ ბრძოლის შედეგი მაინც შთამბეჭდავი გამოდ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

გა: ორი ათასიდან მხოლოდ 500 ბელუჯი გადარჩა ცოცხალი.

1703 წელს გიორგი XI-ს ქართლის მეფობა, ირანის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძეს და ამჯერად ყანდაარის პროვინციის დაშოშმინება დაავალეს. გმირმა ხელმწიფემ ვეღარასდროს იხილა სამშობლო. იქ მის ჯანიშინად (მოადგილედ) ალალი ძმისწული, მომავალი ვახტანგ VI დანიშნა შაჰმა, ხოლო ერეკლე I-ს კახეთი დაუტოვა. ქართლის სამეფო ტახტზე ნომინალურად დაბრუნება გიორგი XI-ს ქრისტიანობის ფორმალურად დათმობის ფასად დაუჯდა. მტრის დასანახად ისლამს აღიარებდა, მაგრამ გულზე ჯვარი ძველებურად ეკეთა. „რა გაეწყობოდა: შეგვექნა სიხარული ქართლის შოვნისათვის, მაგრამ ყანდაარს წასვლისთვის მოწყენა“,[39] წერდა სეხნია ჩხეიძე.

გიორგი XI-მ 12 წელიწადი გაატარა უცხო ქვეყანაში ძმასთან, ლევან ბატონიშვილთან და ქართულ რაზმთან ერთად ავღანეთის მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ბრძოლაში. არცერთი მცირე თუ დიდი ბრძოლა არ წაუგია სახელოვან ქართველს ავღანთა მხარეში, მიუხედავად მძიმე კლიმატური პირობებისა. ისტორიკოსი და ქართლის მეფის თანამებრძოლი სეხნია ჩხეიძე მეფის შესახებ აღნიშნავს: „იყო წესი მისი, როცა სამწუხარო საქმე იყვის, მაშინ უფრო განმხიარულდის“.[39]

ავღანელებთან შეტაკებების დროს, სპარსელები ხშირად გარბოდნენ ბრძოლის ველიდან და მარტო დარჩენილ ქართველებს უწევდათ სასტიკ, უთანასწორო ომში ვაჟკაცობისა და საბრძოლო ხელოვნების მაღალი კლასის ჩვენება მტრისთვის.[1] იმ პერიოდში ირანის ცენტრალური ხელისუფლება მთლიანად ქართულ სამხედრო ძალას ეყრდნობოდა. ამას ადასტურებს იტალიელი პიეტრო დელა ვალე: „სპარსული არმიის სიძლიერე ქართველებია, რომ-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლებიც ამ არმიის უდიდეს და უძლიერეს ნაწილს წარმოადგენენ“.[2] იგივეს აღნიშნავს ინგლისელი მოგზაური და ისტორიკოსი, სერ ტომას ჰერბერტი[49] (1606-1682), რომელიც 1627 წელს შირაზში იმყოფებოდა. მისი ცნობით, სხვადასხვა დროს ქართველთა რაოდენობა ირანის არმიაში 8-დან 40-მდე ათასს უტოლდებოდა. ფრანგი მოგზაურების მოგონებების თანახმად,[23] ქართველი მეომრები ირანში ყოფნისას ეროვნულ სამოსს ატარებდნენ, რაც მათდამი შიშსა და მორიდებას იწვევდა სპარსეთის მთელ იმპერიაში.

ივანე ჯავახიშვილმა (1876-1940) კიდევ უფრო დეტალურად აღწერა XVIII საუკუნის დასაწყისში ირანში არსებული სიტუაცია: „სპარსეთის შაჰები ხშირად თავიანთ სარდლებს არ ენდობოდნენ ხოლმე, ქართველთა პირიანობა და ფიცგაუტეხელობა კი გამოცდილებით იცოდნენ. ამის გამო, ისინი თავიანთი დახლართული სამხედრო საქმეების მოწესრიგებას ქართველ მეფეებს ანდობდნენ ხოლმე. ამის წყალობით, ისეთს ნიჭიერ სამხედრო პიროვნებებს, როგორც მაგალითად, მეფე გიორგი XI იყო, უნებლიეთ სპარსეთის აჯანყებული ქვეშევრდომების დამორჩილება უნდა ეკისრა და ხან ავღანისტანში ყოფილიყო, ხან ბელუჯისტანში, ხან სხვაგან, სადაც კი ამბოხება იფეთქებდა“.[24]

ქართლის მეფის ლაკონიური, მაგრამ ამომწურავი დახასიათება აქვს მოცემული თავის წიგნში „ავღანეთის ისტორია“ (1879) ინგლისელ მწერალსა და პოლკოვნიკს, ჯორჯ ბრიუს მალესონს (1825-1898): „ისე მოხდა, რომ იმ დროს სპარსეთის ყველაზე უნარიანი გენერალი ერთი ქართველი, სახელად გურგინ-ხანი[8] იყო. ეს დაბადებით ქრისტიანი ადამიანი, საკუთარი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებას ცდილობდა, მაგრამ მისი დიდებული სამხედრო ნიჭი დაჯაბნა მის წინააღმდეგ გაგზავ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნილთა რიცხობრივმა უპირატესობამ. ამიტომ დამარცხდა. თუმცა, დამარცხებაშიც კი იმდენად ძლევამოსილი იყო, რომ გამაჰმადიანების, ამ ერთადერთი პირობის შესრულების სანაცვლოდ, შაჰმა იგი თავის სამსახურში აიყვანა. ორი თვისება ახასიათებდა: სამხედრო ოსტატობა და სიმკაცრე".[55] აშკარად იგრძნობა თვალით უნახავი, მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე გარდაცვლილი ქართველი მთავარსარდლით მოხიბლული, თავადაც გამოცდილი მეომრის აღტაცება.

ირანის შაჰის კარზე მყოფი ინგლისელი ვაჭარი და მოგზაური, ჯონას ჰანვეი (1712-1786) ბრიტანეთის ოსტინდური კომპანიის წარმომადგენლებს ბომბეიში სწერდა: „მხოლოდ ქართველთა მხედრობაა ის ძალა, რომლის წინაშეც ავღანელები ვერხვებივით თრთიან... როგორც სპარსელებმა გვითხრეს, საკმარისია ქარავანს მცველებად ათიოდე ქართველი გააყოლოთ და ავღანეთის გზებზე აღარავინ შეგაწუხებთ".[48]

3. ბურბინ-ხანი

1704 წლის მაისში ქართველთა და სპარსთა 24-ათასიანი ლაშქარი ავღანეთისკენ დაიძრა გიორგი XI-ის სარდლობით.[40] ჯოჯოხეთური უდაბნოს გავლას ლამის ორი თვე მოანდომეს. ყანდაარი ქირმანზე არანაკლებ ავკლიმატიანი გამოდგა. „ქალაქი ცხელი. საღამო ჟამს ასეთი ქარი მოვიდის ცხელი, რომ პირს ვერ შეაქცევდენ. ეს მინახავს აქაურის სიცხისაგან კვერცხი სპილენძის თეფშზე გათქვეფილი და დასხმული მზისაგან შემწვარიყოს და ციხის სალს კლდეზედ პური მიეკრას და გამამცხვარიყოს",[39] ასე აღწერდა იქაურ რეალობას სეხნია ჩხეიძე. გაუსაძლისი პირობების მიუხედავად, გიორგი XI-ის მხედრობამ ყანდაარის პროვინციაში მღელვარება ჩაახშო, თა-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ნაც, მრავალჯერ და მთელ ტერიტორიაზე უმკაცრესი კონტროლი დააწესა.

ავღანელ წინამძღოლთა ნაწილი ირანის სპასალარმა ძალით დაიმორჩილა, ნაწილი კი თავად ეყმო. მათ შორის ერთ-ერთი – „ნიჭიერი და მამაცი ავღანი“[33] მირ-ვეისი (1673-1715) ნამდვილ ენიგმას წარმოადგენდა. ქართლის მეფისადმი ისე უხვად აფრქვევდა „უსაზღვრო ერთგულებას“,[33] რომ გამჭრიახ ქართველ მთავარსარდალს უნდობლობის ეჭვი არ ასვენებდა. გამოსაცდელად მორიგი აჯანყების დაშოშმინება დაავალა გადამთიელს. მირ-ვეისმა ღალატით მოკლა აზარის განდგომილი სულთანი, სახელად დაქეზ[23] და მისი თავი ძღვნად მიართვა ყანდაარის ბეგლარბეგს. თითქოს სანდო უნდა ყოფილიყო ავღანთა წინამძღოლი, მაგრამ მეფე გიორგის მსტოვრები ატყობინებდნენ: „მირ-ვეისი თეთრი კბილით იცინის და შავი გულით მოქმედებს. იდუმალ შეთქმულებებს აწყობს, ავღანელ ტომებს საჯანყოდ ამზადებს“.[33]

ხელჩასაჭიდი ჯერ არაფერი ჰქონდა, მაგრამ ქართლის მეფე ავღანთა ტომის წინამძღოლის გამოაშკარავებასა და მასთან ღიად დაპირისპირებას არ დაელოდა. მირ-ვეისი ისპაანს გაგზავნა დაქეზის თავიანად, თან ყიზილბაშთა 20-ათასიანი ჯარი გააყოლა. ქართველთა მცირერიცხოვანი ამალით ავღანეთში დარჩენილმა გიორგი XI-მ ბრძნული რჩევა მისწერა შაჰ-ჰუსეინს: „ესე სულთანი უარშიობს,[35] უნდა არევა ამა ქვეყნისა. ნუღარ გამოუშვებთ თვარამ ერთს რასმე მოახდენს“.[24]

კორუფციის ჭაობში ჩაძირულ სპარსეთის სამეფო კარზე, სადაც „შაჰის უმაღლეს მოხელეთა შორის გიორგი მეფისადმი უფრო შური, შიში და მტრობა სუფევდა, ვიდრე თანადგომა, პატივისცემა და სიყვარული“,[33] მირ-ვეისმა იოლად იპოვა მომხრეები. მან ძვირფასი საჩუქრებითა და თან წაღებული 30 ათასი თუმანით იოლად მოის-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ყიდა ისპაანის დიდებულები. უფრო მეტიც, მეფე გიორგის მთავარ მტერს, სამეფო კარის უმაღლეს გამრიგესა და ბაზიერთუხუცესს, ირანის მომავალ პირველ ვეზირს, წარმოშობით ლეკ ფათჰ-ალი-ხანს შეეკრა. გურგინ-ხანის მოწინააღმდეგე მოხელეებმა პოლიტიკაში გამოუცდელი შაჰი ოთხჯერ შეახვედრეს მირ-ვეისს პირისპირ. მანამდე არ მოეშვნენ, სანამ მის ერთგულებაში არ დაარწმუნეს.

ცბიერმა ავღანმა მექაში მოსალოცად წასვლის ნება გამოსთხოვა შაჰს. წმინდა ქალაქს მისული მირ-ვეისი ჯერ ქააბის ღვთაებრივ შავ ქვას ემთხვია, შემდეგ რელიგიურ ლიდერებს შეხვდა მექასა და მედინაში.[55] სპარსული ძღვენი მიართვა და საღვთო ომის ნებართვა გამოსთხოვა „ურწმუნო ქართველების“ წინააღმდეგ, რომლებიც „ნამდვილ მორწმუნეებს, ყანდაარელებს ჩაგრავდნენ“.[52] ისპაანში დაბრუნებულმა ავღანთა ტომის ბელადმა ფატვის[36] გამოცხადების საბაბი ჩამოიტანა სპარსეთში და „ორგული, მოღალატე“[33] გურგინ-ხანის წინააღმდეგ დაწყებული საინფორმაციო ომი განაგრძო.

შაჰ-ჰუსეინს მეთოდურად დაახვია თავბრუ „შავი პიარისთვის“ გამიზნული დეტალებით და მეფე გიორგის ერთგულებაში დააეჭვა. ამას ისრაელ ორის უცნაური ელჩობის ამბავიც თან დაერთო, რამაც დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ისპაანში.[52] ავღანთა მეთაურმა ესეც სათავისოდ გამოიყენა, გიორგი XI-ს ორგულობა და მოღალატეობა დასწამა. ფათჰ-ალი-ხანისა და გურჯი სარდლის დანარჩენი მტრების საშუალებით მირ-ვეისი ხმებს ავრცელებდა: „ქართველთა მეფე თანაქრისტიან რუსებთან და სომხებთან რაღაც სპარსეთის სამტრო კავშირს ჩარხავსო“.[33] გიორგის უფროსი ძმის, არჩილის რუსეთში ყოფნის ფაქტი ამ ჭორის მტკიცებულებად დაუდო გულუბრყვილო შაჰს და „დიდი სიცრუე“[22] იოლად დააჯერა. მალე მირ-ვეისმა არა მხოლოდ სამშობლოში დაბრუნების უფლება

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მიიღო, არამედ ყანდაარის ქართველი ბეგლარბეგის მეთვალყურეობაც დაავალა ირანის შეშფოთებულმა მბრძანებელმა.[25]

გიორგი XI-მ შაჰ-ჰუსეინისგან ძვირფასი ხალათი და რაყამი[31] მიიღო: „ჩვენ მირ-ვეისი უბრალოდ ვსცანით და შევირიგეთ. ვინძლო ჩვენი გადაწყვეტილება მართებულად მიიჩნიოთ, მირ-ვეისი თქვენც მართლად ჩათვალოთ, შეირიგოთ და თქვენს სამსახურად დაიბრუნოთ“.[33] შაჰის სიტყვას წინ რას აღუდგებოდა ავღანეთში გაგზავნილი ქართლის ნომინალური მეფე? მისი უმცროსი ძმა, ირანის დივანბეგი[10] ლევანიც მირ-ვეისს უჭერდა მხარს წერილში: „ნეტა, ვიცოდე, ამ კაცმა ისეთი რა დაგიშავა, უღვთოდ რომ გასწირე. შენი ერთგულია. ისპაანში შენი ქების მეტი არაფერი დასცდენიაო“.[26] ცბიერ პოლიტიკოსებს ფარულ ზრახვათა გასაჯაროება რომ წესად არასდროს ჰქონიათ, ეტყობა, ლევან ბატონიშვილს არ გახსენებია პირფერი და ქვეშქვეშა მირ-ვეისის შეფასებისას.

ისტორიამ წელიწადნახევარში დაადასტურა გურჯი გიორგის პირვანდელი ეჭვის სისწორე. მუხანათმა მირ-ვეისმა არ მოისვენა და მიზანს მიაღწია.[53] ინგლისელი ჯონას ჰანვეის ცნობით,[48] 1709 წლის 21 აპრილს მისსავე პატივსაცემად გამართულ ნადიმზე მიწვეული გიორგი XI და მისი მცირერიცხოვანი ამალა ავღანელებმა ამოჟლიტეს, სანამ ქართველთა ათასკაციანი რაზმი ერთ-ერთი ამბოხებული ტომის დასაშოშმინებლად იყო წასული გიორგის ძმისწულის, ალექსანდრეს მეთაურობით.

ნაქეიფარი გიორგი XI კარავში განმარტოვდა მოსასვენებლად. მამალმა რომ მესამედ იყივლა,[33] მძინარეს მიეპარნენ მოსაკლავად ავღანელები: „უღალატა მეფეს გიორგის ყანდაარის სულთანმა მირვეისმა. მოუხდა განთიადსა, დაესხა თავსა. რა სცნა მეფემან, ედვა ქარქაში სარჩისა გვერდისა მისსა, გაიკრა ხელი, თავმან მისმან, სანამდის

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ისარი ჰქონდა არცერთი არ დააცდინა. რა ისარი დაელია, გაიკრა ხმალსა ხელი, როგორც დევი ისე იბრძოდა. ჰკრეს თოფი ამა მორჭმა დიდების პატრონსა და მოკლეს, ვინცა ქართველნი დარჩომილ იყო ამოსწყვიტეს“.[39] ორ-მოცდაათი მომხდურიდან რვას ისრებით მოუსწრაფა სიცოცხლე გმირმა სარდალმა. დანარჩენებს ხმალდახმალ ეკვეთა და ორ-სამს უწვდინა ოსტატურად, სანამ ტყვიებით დაუცხრილავდნენ გულად მკერდს ქართველთა მეფეს. ასე დაასრულა ბრძოლებით აღსავსე ცხოვრება 1709 წლის დიდხუთშაბათს 58 წლის გიორგი XI-მ დიხ-შეიხში.

ირანში მოღვაწე კათოლიკე მისიონერებისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „აჰყარნა ხატნი და ჯვარნი მეფესა მირვეიზ და ფსალმუნი, რომელსა იკითხვიდა ჟამსა მას, და წარმოუვლინა ყეენსა მეტყველმან: ესრეთ გაცდუნებდა მეფე“.[4] ამ სამხილით ცდილობდა ცბიერი მირ-ვეისი თავის მართლებას მეფე გიორგის მოკვლისათვის. ეშმაკობამ გაჭრა და გურგინ-ხანის ფარული ქრისტიანობის გამჟღავნებამ მისი მუხანათურად მოკვლის ფაქტი გადასწონა ირანის შაჰის თვალში. თუმცა, ძალიან მალე სპარსელებს ძვირად დაუჯდათ, გიორგი მეფის რჩევა რომ არ იღეს ყურად: მირ-ვეისმა ისპაანი აიღო და სპარსეთის იმპერიის სატახტო ქალაქის მოსახლეობა გაჟლიტა.

ყანდაარში დახოცილი ქართველები ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დააგროვეს მირ-ვეისის მეომრებმა ხალხის „თვალსასეიროდ“.[33] ცხენზე ამხედრებულმა ავღანთა წინამძღოლმა ხელი გაიშვირა გოლიათური აღნაგობის ქართველი სარდლის ცხედრისკენ და თანამებრძოლებს განუცხადა: „აი, გურგინ-ხან... ქართველი კაცი, ერთადერთი სპარსელთა შორის, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა სახელი ჭეშმარიტი მხედრისა, ხელმწიფისა და ვაჟკაცისა“.[33] ასე შეაფასა უცხოტომელმა თავისი ერთადერთი, უკვე მოკლული მოწინააღმდეგე, რომელსაც

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

XX საუკუნეში ლევან სანიკიძემ „უკანასკნელი დიდი გიორგი“[33] უწოდა.

4. ლომი კრავთა შორის

ქალაქ ყანდაართან რამდენიმე კილომეტრში მარმარილოს სვეტი დგას წარწერით: „მგზავრო, წამით შეჩერდი და იცოდე – ავღანეთის დაპყრობას ბევრი ეცადა, მაგრამ, საბოლოოდ, ვერავინ დაიპყრო დღემდე, ალაჰის ნებით! მხოლოდ სამმა სარდალმა შეძლო ავღანეთის მამაცი მხედრობის დამარცხება. ესენი იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ჩინგიზ-ყაენი და გურჯი გიორგი“.[37] იქვე ამ სამი მეომრის სიმბოლური საფლავებია.

ეს სვეტი საკუთარი თვალით ნახა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გენერალ-მაიორმა, სამხედრო მეცნიერმა და აკადემიკოსმა თენგიზ ეპიტაშვილმა,[13] რომელიც 1979-1983 წლებში ავღანეთში იხდიდა სამხედრო ვალს. მოგვიანებით მან მოგონებების წიგნში „მე – გენერალი ეპიტაშვილი“ აღწერა, ლამის, დაუჯერებელი ამბავი: როგორ ვერაფრით აიღეს საბჭოთა ჯარებმა ყანდაარი, როგორ ვერ დაძლია ლეგენდარული სვეტისა და საკუთარი გმირი მეფის საფლავის ნახვის სურვილი საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქე ქართველმა მეომარმა და როგორ შეუთვალა ავღანელებს ტყვედყოფილის პირით, დიდი წინაპრის საფლავზე თაყვანისცემის უფლება მიეცათ.

ლამის, ათი წელი (1979-1989) ეომებოდნენ საბჭოთა ჯარს მოჯაჰედები მოლა ომარის (1960-2013) მეთაურობით. უცხო მიწაზე ყოფნისას შეიტყო ქართველმა სამხედრომ, რომ ავღანელმა ხალხმა მარადიული ხსოვნის ძეგლი დაუდგა მის გმირ წინაპარს და მოსვენება დაკარგა. ყანდაარი თენგიზ ეპიტაშვილისთვის პირადულ სამიზნედ გადაქ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ცეულიყო, მაგრამ ვერა და ვერ აიღეს ქალაქი, რომ მუხლი მოეყარა მეომარი მეფის საფლავზე.

ქართველმა მეთაურმა თავის ჯარისკაცებს წყაროზე ჩამოსული ავღანელი გლეხი დააჭერინა და მისი საშუალებით მოჯაჰედების მეთაურს შეუთვალა: „მე, გურჯ პოლკოვნიკს, გურჯი გიორგის თანამემამულეს, სურვილი მაქვს, ჩემი დიდი წინაპრის საფლავს ვცე თაყვანი და, თუ ნებას დამრთავთ, ხვალ 3 საათზე უიარაღოდ მარტო გამოვალ-მეთქი. არავითარ გარანტიას არ გთხოვთ, მეომრის სიტყვის გარდა“.[38]

შუამავალი შუადამისას დაბრუნდა და ამბავი მოიტანა: რიტუალის შემსრულებელი კაცი ჩვენთვის წმიდათაწმიდაა და მოსისხლეც რომ იყოს, არაფერს დავუშავებთო. თანაც, აღმოჩნდა, რომ გურჯი პოლკოვნიკის შესახებ გარკვეული ინფორმაცია გააჩნდათ და მის „სახელს რადაცნაირი პატივისცემითაც კი მოიხსენიებდნენ“.[38] ეპიტაშვილის ვარაუდით, ავღანელებს შემჩნეული ჰქონდათ, რომ ქართველი მეთაურის ბრძანების გამო, ნამაზის (ლოცვის) დაწყებისთანავე სროლას წყვეტდა მისი დანაყოფი. როგორც ჩანს, „ამას დიდ ადამიანურობად და ჩემგან უდიდეს პატივისცემად მიიჩნევდნენ“.[38] მტერი არა მარტო დათანხმდა, არამედ უხიფათო დერეფნის გაკეთებასაც დაჰპირდა, რომ შემთხვევით არ მოეკლა რომელიმე მოჯაჰედს ეს მამაცი და გაბედული ქართველი.

უიარაღოდ, შილიფად ჩაცმული, კვართის მსგავს თეთრ მოსასხამში გახვეული ქართველი პოლკოვნიკი დათქმულ დროს დაადგა სანუკვარ, მაგრამ სახიფათო გზას. საბჭოთა უნიფორმიდან მხოლოდ ოფიცრის ქუდი ეხურა. ხელები წელზე ჰქონდა შემოწყობილი და პერიოდულად ნაბიჯსაც ანელებდა, რომ მისი წესიერად შეთვალიერების საშუალება მიეცა მტრისთვის.

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მარტომ, გულისკანკალით, მაგრამ თავაწეულმა გაიარა შეუიარაღებელმა ეპიტაშვილმა პატრულის მიერ დაცული გზა. ყოველ ოც მეტრში თეთრად თავყბაახვეული მოჯაჰედები იდგნენ და გაფართოებული თვალებით უღიმოდნენ მის სიმამაცეს. გიორგი XI-ის გარდაცვალებიდან, თითქმის, სამასი წლის შემდეგ, XX საუკუნის ავღანეთში ასევე საკუთარი სურვილის წინააღმდეგ მებრძოლმა ქართველმა მშვიდობით მიაღწია მარმარილოს გრანდიოზულ სტელამდე.

თეთრ სვეტს, რომელზეც ავღანურ ენაზე შესრულებული ისტორიული სიტყვები ამოიკითხა, მოწიწებით ემთხვია პოლკოვნიკი. რამდენიმე წუთით ხელი იმ ადგილს დაადო, სადაც „გურჯი გიორგი“ იყო ამოკვეთილი. მერე ქართლის მეფის საფლავზე მუხლი მოიყარა კარგა ხნით. როდესაც წამოდგა, ისეთი უცნაური სიმსუბუქე იგრძნო, რომ გაიფიქრა, ახლა რომც მესროლონ, აღარ ვინანებ, რადგან ჩემი მისია შევასრულეო. სანამ უკან დაბრუნდებოდა, ირგვლივ მიმოიხედა. ორიოდე მოჯაჰედი „მცველის“ გარდა, აღარავინ ჩანდა. მადლობის ნიშნად, პოლკოვნიკმა ორივე ხელი ასწია მათ დასანახად.

ამბის დასასრული კიდევ უფრო უცნაური და დაუჯერებელია: საბჭოთა მებრძოლს, რომლის გურჯობის ამბავი უკვე ყველა ახლო-მახლო მყოფმა მოჯაჰედმა იცოდა, „შავი შაშხანის“ (ამერიკული M-16) სროლის ხმა შემოესმა იქვე, დაახლოებით, 50 მეტრში. გულგახეთქილ ქართველს იმის ძალა კი ეყო, არ შეემჩნია ემოცია და წელში კიდევ უფრო ამაყად გამართულიყო: „თავს შევუძახე, შიში არ შეგამჩნიონ, გიორგი XI-ის შთამომავალს არ გეკადრება-მეთქი“.[38] არადა, თურმე, თენგიზ ეპიტაშვილის სიმამაცის დაფასების ნიშნად ისროდნენ ჰაერში. ცოცხალ დერეფანში ჩამწკრივებულ მოჯაჰედებს შორის მიმავალ ქართველ მებრძოლს ასე აცილებდნენ ავღანელი

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მეომრები: „სამხედრო წესის თანახმად, მხრიდან შაშხანას იხსნიდნენ, ჰაერში ისროდნენ, შემდეგ კვლავ მხარზე იკიდებდნენ, თეთრ კბილებს მიელვებდნენ და გზას ხელით მიჩვენებდნენ – მიბრძანდითო“.[38] ცხადია, ეს მისი ვაჟკაცობის დაფასებაც იყო და გამოცდაც. უზომოდ გახარებული, სიცხისა თუ გამოვლილი განსაცდელისგან გაოფლილი თენგიზ ეპიტაშვილი თავის ბლინდაჟში[7] დაბრუნდა. მეორე დღეს საომარი მოქმედებები ძველებურად გაგრძელდა.

ერთი თვის თავზე საბჭოთა ჯარმა ყანდაარი აიღო ქართველი პოლკოვნიკის მეთაურობით. უმკაცრესად აკონტროლებდა საკუთარ ჯარისკაცებს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ გაეძარცვათ, არ ეძალადათ ანდა რაიმე სხვა სახით არ შეევიწროვებინათ.

თანამედროვე ლეგენდას ჰგავს ეს ამბავი, რომელიც არცერთ ისტორიის სახელმძღვანელოში არ წერია, ჯერ-ჯერობით. ალბათ, ქართლის მეომარი მეფის თანამემამულეზეც იგივეს ფიქრობდნენ XX საუკუნის მოჯაჰედები, რაც გიორგი XI-ისა და მისი ჯარის შესახებ უთქვამთ ავღანთა ქვეყანაში მათი ლაშქრობის შემდეგ: „ავღანელები, სპარსელებთან შედარებით, ლომები ვართ, სპარსელები კი ჩვენთან შედარებით – ცხვრები, ხოლო ქართველებთან ცხვრები ვართ, ქართველები კი ლომები არიან ჩვენთან შედარებით“.[3]

5. ქართული „ბრაალი“

მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო თუ არა, უიშვიათესი შემთხვევა ნამდვილად არის მტრისთვის სიმბოლური საფლავის მოწყობა. რა თქმა უნდა, ეს ქართველი სწორუპოვარი მეფე-სარდლისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად გააკეთეს ავღანელებმა. ღირსეული მტრები აღ-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

მოჩნდნენ. ყანდაარის მახლობლად აღმართულ სტელაზე ამოკვეთილი წარწერა გამვლელს ამცნობს, რომ უცხოტომელის ასეთი დაფასება გამოიწვია მისმა ღირსებებმა – ავღანი მტრის თვალში, გიორგი XI იყო „საუკეთესო მეომარი და სარდალი ირანელთა შორის“.[2]

აღმოსავლეთმცოდნე სერგო ლუტიძე საბჭოთა ჯარში სამხედრო თარჯიმნად მსახურობდა 1980-1984 წლებში. ოთხწლიანი გამოცდილების საფუძველზე, „ქართულ-დარი სამხედრო ტერმინებისა და ფრაზეოლოგიზმების მცირე ლექსიკონი“ შეადგინა, რომელიც ავღანეთის საერთაშორისო მისიაში მყოფ ქართველ მეომრებს გაუგზავნა იმ იმედით, რომ მათ ეს წიგნი ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში გამოადგებოდა. სერგო ლუტიძე მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“ დააჯილდოვეს შეიარაღებულ ძალებში ღვაწლისთვის, ხოლო უნიკალური ლექსიკონის შექმნისთვის საქართველოს პრეზიდენტმა „ღირსების ორდენი“ გადასცა 2013 წლის 15 ოქტომბერს.

სერგო ლუტიძის ავღანური ბიოგრაფიის გამორჩეული ეპიზოდია მის მიერ გიორგი XI-ის სიმბოლური საფლავის მონახულება 1981 წელს ყანდაარში საქმიანი ვიზიტის დროს. ჰილმენდის პროვინციაში ყოფნისას, მან ადგილობრივებს სთხოვა, ქართველი მეფის სიმბოლური საფლავი ეჩვენებინათ, რომელიც გმირ მეომარს გაუკეთეს მტრებმა, ვისაც 12 წლის განმავლობაში წარმატებით ებრძოდა სამშობლოდან იძულებით წასული ქართველი გვირგვინოსანი.

უსაფრთხოების მიზნით, მათ სერგო ლუტიძეს ავღანელი მამაკაცის ეროვნული ტანსაცმელი ჩააცვეს და დაარიგეს, ადგილობრივი სიარულის მანერისთვის მიებაძა, მეტი დამაჯერებლობისათვის. საფრთხისა და სირთულეების მიუხედავად, ქართველმა თარჯიმანმა შეძლო გურგინ-ხანის (როგორც მას ირანსა და ავღანეთში უწოდე-

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბენ)[47] მემორიალის ხილვა. ეს მარმარილოს სტელა ყოველი ქართველისთვის, ალბათ, ისეთივე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორც რაშმორის მთაზე ამოკვეთილი აშშ-ის ოთხი პრეზიდენტი[32] ამერიკელებისთვის, ანდა თაჯ-მაჰალი[17] ინდოეთის მოსახლეობისთვის.

ახალი ათასწლეულის დასაწყისში, 11 სექტემბრის ტრაგედიამდე ლამის ნახევარი წლით ადრე, თალიბებმა ბამიანის ველზე კლდეში გამოკვეთილი ბუდას ორი უნიკალური, გიგანტური ქანდაკება ააფეთქეს იმ საბაბით, რომ ამ კერპების არსებობა მათ რელიგიურ მრწამსს ეწინააღმდეგებოდა. VI საუკუნის ძეგლები, რომელთაც იუნესკოს მიერ მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი და, ასევე, 1999 წელს მოლა ომარის დაპირება იცავდა (როგორც შემოსავლის წყაროს, ტურისტების ინტერესიდან გამომდინარე), 2001 წლის 2 მარტიდან 6 მარტამდე თალიბანის მთავრობამ გაანადგურა. ჯერ ქვემეხები დაუშინეს, მაგრამ გიგანტური ზომის გამო, ბევრი ვერაფერი დააკლეს. მერე ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები მოიშველიეს.

ინდოეთის ხელისუფლებას ქანდაკებების, როგორც ხელოვნების ნიმუშების, ავღანეთიდან ინდოეთში გადატანა სურდა, მაგრამ მათ წინადადებას მეორე მხარე არ დათანხმდა. ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ თალიბების მაშინდელი ლიდერის ლაკონიური საბაბი დაფიქსირდა: „ეს კერპები ურწმუნოთა ღმერთები იყვნენ“.[41] ბრიტანულმა გაზეთმა „ტაიმსმა“ მოლა ომარის კომენტარი გამოაქვეყნა: „მუსულმანებმა კერპების მოსპობით უნდა იამაყონ. ღმერთს მადლი შევწირეთ მათი განადგურებისათვის“.[54] თითქოს, ამით უნდა დამთავრებულიყო 1500-წლიანი ქანდაკებების გარეშე დარჩენილი, ცარიელი ნიშების ისტორია. თუმცა, ავღანურმა გაზეთმა „ეთილაათროზმა“ 2021 წლის 1 ნოემბერს გაავრცელა კადრები, თუ როგორ

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ესვრიან ვიღაცები იმ მთას, სადაც ოცი წლის წინათ ბამიანის ბუდას ქანდაკებები იდგა.[56] ასეთ მომენტში, ნამდვილად დაფიქრდები ყანდაარის გზაზე აღმართული საკუთარი წინაპრისადმი მტრის მიერ მიძღვნილ სტელას ბედზე და დაგენანება, რომ მისი წესიერი ფოტოც კი არ დაგრჩება, რამე რომ მოხდეს.

წმინდა გრაალის საძებნელად წასული რაინდების მსგავსად, თითო-ოროლა ქართველმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იხილა იგი. ურწმუნო თომასავით არ გასვენებს ეჭვი. გინდა გწამდეს, რომ ჯერაც არსებობს, მაგრამ თენგიზ ეპიტაშვილივით, ხელით თუ არ შეეხე, სიზმარს წააგავს. საქართველოდან ავღანეთამდე ფიქრში ზღაპრულად რეალისტური[20] მოჩანს ყანდაარული სტელა.

ლიტერატურა ▫ References

1. ავღანეთის ქართველი მბრძანებელი (8 ივნისი, 2013), „ამერიკის ხმა“ [amerikiskhma.com/a/afghanistan-war/1677989.html].
2. ავღანელებზე გამარჯვებული ქართლის მეფე გიორგი XI (11 აგვისტო 2019), ქართული სამხედრო ანალიტიკური პორტალი.
3. იქვე; არსებობს ამ გამოთქმის ოდნავ განსხვავებული ვერსიაც: „ყიზილბაშები დიაცნი არიან ავღანებთან შედარებით, ხოლო ავღანები დიაცნი არიან ქართველებთან შედარებით“ [ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 457].
4. ბატონიშვილი ვახუშტი (1913), საქართველოს ცხოვრება 1469-1800-მდე, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი: ელექტრო-მბეჭდავი „სორაპანი“, გვ. 107-112.
5. ბეგლარბეგი (თურქ. „ბეგთა ბეგი“ > თურქ. beg, იგივე, bey „მბრძანებელი, მთავარი, ბატონი“) – ფეოდალური ტიტული და თანამდებობა. ასე ეწოდებოდა დიდი პროვინციის მმართველს ირანში, ვის ხელშიც იყო სამხედრო-ადმინისტრაციული ხელისუფლება. ომის დროს ევალებოდა ლაშქრის სარდლობა.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

6. ბელუჯები (ინგლ. Baloch ან Baluch) – ირანელი ხალხი. მათი რაოდენობა 10 მლნ უტოლდება (2013). აქედან 7 მლნ პაკისტანის სამ პროვინციაში (ბელუჯისტანი, სინდი, პენჯაბი) ცხოვრობს, დანარჩენი – ირანში, ავღანეთში, საემიროებსა და თურქმენეთში. მშობლიური ენაა ბელუჯური. უმეტესობა სუნიტი მუსულმანია. ჰყავთ ინდუიზმისა და სიქიზმის მიმდევარი უმცირესობებიც [Zehi, Pirmohamad M., *A Cultural Anthropology of Baluchis*, Iran Chamber Society].
7. ბლინდაჟი (ფრანგ. blindage „საფრით გადახურვა“) – დახურული ტიპის საველე ფორტიფიკაციული ნაგებობა. დაფარულია მიწით, აქვს კარი. გათვლილია 4-8 ადამიანზე [ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი (2017), აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის რედაქციით, თბილისი].
8. ბურბინ-ხანი (ინგლ. Gorgin Khan ან Gurgin Khan) – ქართლის ქრისტიანი მეფე გიორგი XI იძულებული გახდა ისლამი ეღიარებინა და მაჰმადიან გურგინ-ხანად ანუ გიორგი-ხანად გადაქცეულიყო. ზოგიერთმა მისი ახალი სახელი ეროვნულ კუთვნილებად ჩათვალა და გურჯი-ხანად ანუ „ქართველ ხანად“ მონათლა [ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 450]. ირანიკა, მაგალითად, სწორ ფორმას იყენებს [iranicaonline.org].
9. „გიორგი-შვიდეული“ საქართველოს ისტორიაში: გიორგი მთაწმინდელი, გიორგი ჭყონდიდელი, გიორგი III, გიორგი IV ლაშა, გიორგი V ბრწყინვალე, გიორგი სააკაძე და გიორგი XI [სანიკიძე ლევან (2005), დედა ისტორია, თბილისი: „ბაკმი“, გვ. 306-307].
10. დივანბეგი (სპარს. Dīvān-beīgī) – სეფიანთა ირანის (1501-1736) სასამართლო სისტემის უმაღლესი თანამდებობის პირი, უზენაესი მოსამართლე.
11. ეგნატაშვილი ბერი (1959), ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტომი II, თბილისი [amsi.ge].
12. ერეკლე I (1642-1709) – იგივე, ნაზარ-ალი-ხანი. სიყმაწვილე რუსეთის სამეფო კარზე გაატარა, სადაც ცნობილი იყო ნიკოლოზის სახელით. ქართლის მეფე 1688-1703 წლებში, კახეთის მეფე 1703-1709 წლებში. თეიმურაზ I-ის ძის, დავითის შვილი.
13. ეპიტაშვილი თენგიზ ვასილის ძე (30 აგვისტო 1935 – 28 მარტი 2003) – გენერალ-მაიორი (1995), სამხედრო მეცნიე-

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

რებათა კანდიდატი, დოცენტი (1977). დაიბადა თბილისში. დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი 1957 წელს, მიხეილ ფრუნზეს სახელობის მოსკოვის სამხედრო აკადემია. 1957-1972 წწ. მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარებში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1979-1983 წწ. იმყოფებოდა ავღანეთში საბჭოთა მთავრობის სპეციალური დავალებების შესასრულებლად პოლკოვნიკის რანგში. 1988-1993 წწ. იყო საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული შიდა ქართლში, ქალაქ ცხინვალის კომენდანტი. 1993-1997 წწ. იყო საქართველოს სასაზღვრო ჯარების მთავარი შტაბის უფროსი, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. დაჯილდოვებულია 4 ორდენით (მათ შორის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენი 1996 წ.) და 16 მედლით [ქართული ენციკლოპედია (2014), ტომი 3, თბილისი, გვ. 29].

14. ვალი (არაბ. „დამცველი“) – გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში „ვალი“ ანუ ირანის შაჰის მოადგილე ეწოდებოდა გამაჰმადიანებულ ქართველ მეფეებს, რომლებიც ქართლს განაგებდნენ 1632-1744 წწ. ამ ტერმინის ინგლისურ შესატყვისად გამოიყენება viceroy (ინგლ. „მეფისნაცვალი“).
15. ვახტანგ V (გ. 1675) – იგივე, შაჰ-ნავაზ I (სპარს. „შაჰის სუნთქვა“) 1654 წლიდან, როდესაც ირანში მაჰმადიანობა მიაღებინეს და სახელი გადაარქვეს. ქართლის ბაგრატიონების უკანასკნელმა წარმომადგენელმა, მეფე როსტომმა (1565-1658) იშვილა და ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადა. ქართლის მეფე 1658-1675 წწ. მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი.
16. თადეშ იან კრუშინსკი (პოლ. Taseusz Jan Krusiński, 1675-1756) – პოლონელი იეზუიტი. ლამის, ოცი წელი გაატარა სპარსეთის დედაქალაქ ისპაანში სეფიანთა სამეფო კარზე. ნანახი და გაგონილი აღწერა ნაშრომში „მოგზაურის ქრონიკები“. 1725 წელს ევროპაში დაბრუნდა კონსტანტინოპოლის გავლით, სადაც თავისი თხზულების თურქული თარგმანი გადასცა იბრაჰიმ-ფაშას. კრუშინსკის ჩანაწერები 1729 წელს დაიბეჭდა სულთან აჰმედ III-ის ვეზირის მიერ დაარსებულ პირველ ოსმალურ სტამბაში [Nadare, Maia (2020). Media Mill, pp. 329-330]. იბრაჰიმ მიუთეფერიქასეული გამოცემა ლათინურად თარგმნეს გერმანიაში, რომელიც

BRAMS 2021 May
Volume 2, Issue 4
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

საფუძვლად დაედო ფრანგულ (1725) და ინგლისურ (1840) თარგმანებს.
17. ᲗᲐᲯ-ᲛᲐᲰᲐᲚᲘ (ჰინ. ურდუ „სასახლის გვირგვინი“) – სპილოსძვლისფერი მარმარილოს მავზოლეუმი მდინარე ჯამნას მარჯვენა სანაპიროზე, ინდოეთის ქალაქ აგრაში. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლი 1983 წლიდან (№252). აიგო 1632-1653 წწ. იმპერატორ შაჰ-ჯაჰანის (1592-1666) ბრძანებით, როგორც მისი მეუღლის, მე-14 ბავშვზე მშობიარობის დროს გარდაცვლილი მუმთაზ-მაჰალის (1593-1631) სამუდამო განსასვენებელი.
18. კობიაშვილი გრიგოლ (9 ივლისი, 2011), გიორგი XI ქართველი ვალი ირანში, ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნ. „ისტორიანი“.
19. მენაბდე ლევან (1966), ვახტანგ მეექვსე, თბილისი: „ნაკადული“.
20. მიქაბერიძე ალექსანდრე, კვაშილავა კახა (2017-2018), მნიშვნელოვანი ავღანური წყარო გიორგი XI-ის შესახებ, ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX/XX, გვ. 162-168.
21. მურღულია უჩა (03-10-2017), პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) ცნობები საქართველოს შესახებ [umurgulia82.blogspot.com].
22. Nadare, Maia (November 2020). The Georgian Symbol of WWII Victory. BRAMS, 1(3), p. 72.
23. ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი: „ნაკადული“; „ესე სულთანი უარშიობს“, გვ. 438-447.
24. ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი: „ნაკადული“; „ქართული ლექსიკონი ყანდაარში“, გვ. 448-458.
25. ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი: „ნაკადული“; „ის იქნება მეფე“, გვ. 459-463.
26. ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი: „ნაკადული“; „ომში წასული ძმისაო...“, გვ. 464-468.
27. ორბელიანი პაპუნა (1981), ამბავნი ქართლისანი, თბილისი.
28. პაპაშვილი მურმან (2009), საქართველოს ორიენტაცია დასავლეთ ევროპაზე და სულხან-საბა ორბელიანი, თბილისი.
29. პაპაშვილი მურმან (1995), საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი: გამომცემლობა „აღმაშენებელი“.
30. ᲞᲣᲨᲢᲣᲜᲔᲑᲘ (დასავ. პუშტუ [pastun], აღმოს. პუშტუ [paxtun]) – იგივე, ავღანელები. აღმოსავლეთ ირანული ეთნიკური

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ჯგუფის ხალხი, რომელიც, ძირითადად, ცხოვრობს ავღანეთსა და პაკისტანში. უმთავრესად, სუნიტი მუსულმანები არიან. 2009 წლის მონაცემებით, მათი საერთო რაოდენობაა 49 მლნ. პუშტუნების მშობლიური ენაა პუშტუ. მეორე ენად იყენებენ ორიდან ერთ-ერთს: დარი (სპარსული ენის დიალექტი) ან ურდუ [Lewis, Paul M. (2009), Pashto, Northern, *SIL International*, Dallas, Texas: Ethnologue: Languages of the World].

31. რაყამი (არაბ.-თურქ. „რაკამ“ ანუ გამოსახვა) – სპარსეთის შაჰის (ყაენის) ან ოსმალეთის სულთნის (ხონთქრის) განკარგულება.
32. რაშმორის მთა (ინგლ. Mount Rushmore) – მთა ბლექ-ჰილის რეგიონში (სამხრეთ დაკოტის შტატი), რომელსაც „დემოკრატიის საკურთხეველს“ უწოდებენ. ამერიკის კოლონიზირებამდე ერქვა „ექვსი წინაპარი“ (სიუს ენის ლაქოტურ დიალექტზე: Thuŋkášila Šákpe). 1930 წლის ივნისში ამერიკელი მეწარმის, ჩარლზ ედუარდ რაშმორის (1857-1931) პატივსაცემად, რომელმაც პირველი შემოწირულობა – 5 ათასი დოლარი გაიღო მონუმენტისთვის, მთას სახელი გადაერქვა. მთის ფერდობზე ამოკვეთილია 18.6-მეტრიანი ბარელიეფი აშშ-ის ოთხი პრეზიდენტის (ჯორჯ ვაშინგტონი, თომას ჯეფერსონი, აბაამ ლინკოლნი, თეოდორ რუზველტი) გამოსახულებით. მონუმენტი 1927-1941 წწ. შექმნა ამერიკელმა მოქანდაკემ გუტზონ ბორგლუმმა (1867-1941).
33. სანიკიძე ლევან (2005), დედა ისტორია, თბილისი: „ბაკმი“; „უკანასკნელი დიდი გიორგი“, გვ. 298-307.
34. ტაბაღუა ილია (1972), საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბილისი.
35. შარშიობს – ურჩობს, არ ემორჩილება; უარშიო – ურჩი, ჯიუტი, გაუგონარი კაცი; უარშიობა – ურჩობა, სიჯიუტე, გაუგონრობა, შეუგუებლობა (სუხან-საბა ორბელიანის, ბერი ეგნატაშვილისა და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით) [ნატროშვილი თამაზ (1991), მაშრიყით მაღრიბამდე, გვ. 441-442].
36. შატვა (არაბ. fatāwā) – არასავალდებულო ლეგალური მოსაზრება შარიათის (ისლამური კანონის) რაიმე საკითხთან დაკავშირებით, რომლის ფორმულირებასაც მაჰმადიანი სასულიერო პირი (მუფთი) ახდენს. ფატვას მორწმუნე მუსულმანებზე დიდი გავლენა აქვს.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

37. ყურაშვილი რამინ (17-23 ივნისი, 2013), როგორ სცეს პატივი ავღანელმა მოჯაჰედებმა გურჯი გიორგის საფლავზე მისულ მოსისხლე მტერს, ქართველ გენერალს; „თბილისელები“, №25, გვ. 74-75.
38. ჩიქვანაია თამაზ (19 აპრილი, 2017), ავღანთა რისხვა გიორგი გურჯი და მის საფლავთან მუხლმოყრილი ქართველი გენერალი, Sputnik საქართველო.
39. ჩხეიძე სეხნია (1913), საქართველოს ცხოვრება ახალი მოთხრობა 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი: სეხნია ჩხეიძის მიერ, პაპუნა ორბელიანისა, ომან ხერხეულიძისა, შედეგი კახეთის ცხოვრებისა, ფარსადან გორგიჯანიძისა (1913), თბილისი: გამომცემელი – ზაქარია ჭიჭინაძე.
40. ხაჩიძე ნინო (17-23 ივნისი, 2013), რატომ ეშინოდათ მამაც ავღანელებს მხოლოდ ქართველების და რატომ იყენებდნენ ირანში აჯანყების ჩასახშობად ქართველების რაზმებს, საუბარი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფ. გიორგი ანჩაბაძესთან, ჟურნ. „თბილისელები“, №25, გვ. 10-11.
41. *Afghans Reject Appeals to Spare Statues* (6 March 2001), The New York Times, Section A, Page 4.
42. Buchan, Lizzy (13 August 2021), *UK troops could return to Afghanistan as Defence Secretary warns of al-Qaeda comeback*, The Daily Mirror.
43. Clark, Sir George (28 March 2008), *The Nine Years War, 1688-1697*, Edited by J. S. Bromley, Published online by Cambridge University Press.
44. Day, Michael (15 August 2021), *Afghanistan's youngest female mayor: 'I'm waiting for the Taliban to come for people like me and kill me'*, i news.
45. Farrell, Kyle (15 August 2021), *Afghan MP attacks UK withdrawal and claims 'one more year' could fix Taliban conflict*, The Express.
46. *Georgian soldiers to leave Afghanistan as NATO begins withdrawing forces after two decades* (15 April 2021), Agenda [agenda.ge].
47. Gorgin Khan (15 December 2002), Encyclopaedia Iranica, Vol. XI, Fasc. 2, pp. 163-165 [iranicaonline.org/articles/gorgin-khan].
48. Hanway, Jonas (1753), *An Historical Account of the British Trade Over the Caspian Sea, with a Journal of Travels Into Persia*, Volume I & II, London.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

49. Herbert, Sir Thomas (2012), *Travels in Africa, Persia, and Asia the Great (1677)*, Edited with an introduction and notes by John Anthony Butler, ACMRS Publications. ISBN-13: 978-0866984751
50. In the middle of nowhere – სადღაც დასაკარგავში.
51. Kraterou, Aliki (28 August 2021), *Inside Job? Taliban's 'head of security' at Kabul airport linked to ISIS-K raising fears he helped bomber*, The Sun.
52. Krusiński, Tadeusz Jan (1840), *The chronicles of a traveller: or, a history of the Afghan wars with Persia, in the beginning of the last century, from their commencement to the accession of Sultan Ashruf*, London: James Ridgway, Piccadilly; Printed by Blatch and Lampert, Grove Place, Brompton.
53. Krusiński, Tadeusz Jan (1840), *The chronicles of a traveller*, pp. 45-46.
54. Kumar, Lalit (2021), *Destruction of Bamiyan Buddhas by Taliban*, Writely Expressed [lalitkumar.in].
55. Malleson, George (1878), *History of Afghanistan: From the Earliest Period to the Outbreak of the War in 1878*, London: W. H. Allen & Co., p. 212.
56. Martel, Frances (2 November 2021), *Taliban shooting at remains of Buddha statues they vowed to protect*, Breitbart [breitbart.com].
57. Ostroska, Jessica (16 July 2014), *Georgian Army ends mission in Helmand*, Afghanistan International Security Assistance Force.
58. Rozsa, Lori (18 August 2021), *Daughter describes watching the Taliban beat mother to death after she said she couldn't cook for them*, People magazine.
59. Seren, Merve (18 April 2021), *A critical stage in Afghan peace process* (analysis), Anadolu Agency [aa.com.tr].
60. *Troop numbers and contributions* (3 September 2014), Afghanistan International Security Assistance Force [isaf.nato.int].
61. *Turkey, Pakistan, Afghanistan urge Taliban to commit to Afghan peace talks* (23 April 2021), Reuters.
62. *UK troops to begin 'drawdown' in Afghanistan* (14 April 2021), BBC News.
63. კაპანაძე მაია (2018), იმამ ყული ხანი, „გელათი“ №11-12, გვ. 53-71.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)